ყოველ დიდ დღესასწაულს, დიდ სიხარულს აქვს თავისი ისტორია, რომელიც ადამიანების, ხალხის, ქვეყნის, ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს და ამდენად, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სინამდვილე გახლავთ. დიახ, სინამდვილეა ის, რომ არსებობს ქართული ფეხბურთი საკუთარი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. სინამდვილეა ისიც, რომ ეს ფეხბურთი წლების მანძილზე იბრძოდა თავისი სულის დამკვიდრებისთვის და თუკი ახერხებდა ამას, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, დიდი ემოციური გარჯის ფასად. დაბოლოს, სინამდვილეა ისიც, რომ მან თავისი ბრწყინვალე ოსტატებით, გარკვეული კვალი, კეთილი სახელი და ლამაზი მოგონება დატოვა საერთაშორისო ფეხბურთის ისტორიაში. 1936 წლიდან მოყოლებული, ქართული ფეხბურთის სამსახურში ტყავის ბურთის ოსტატთა რამდენიმე თაობა იდგა. მათ, ყველამ ერთად, საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი სპორტის სახელოვან ისტორიას. ამიტომ, როცა ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ წარმატებაზე გვაქვს საუბარი, თავისთავად იმ თაობების ამაგსა და ვალს ვგულისხმობთ, რომელთა გარეშე არც ის წარმატება მოვიდოდა, არც სხვა რომელიმე გამარჯვება. ქართული ფეხბურთის ყველა თაობას თავისი ხიბლი და ძალა ჰქონდა. სწორედ ამ ხიბლმა და ძალამ მოიყარა თავი თბილისის „დინამოში" 1981 წლის 13 მაისს. დიუსელდორფის გამარჯვება, რა თქმა უნდა, ისტორიული კანონზომიერება და თაობათა მცდელობის ლოგიკური შედეგი იყო. ქართულ ეროვნულ ფეხბურთს ახალი მწვერვალები უხმობენ!


# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

11 მაისი, შაბათი, 1991 წ.
№ 86 (10499) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დაზარალებულთა დასახმარებლად

საქართველოში 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ქალაქებისა და რაიონებისათვის დახმარების საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებს.

● **საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი — 100** ათასი მანეთი (გადარიცხვით), 2084 მანეთი თანამშრომელთა პირადი დანაზოგიდან.

● **ჭადრაკის რესპუბლიკური სასახლე** — 20 ათასი მანეთი, პლიუს 850 მანეთი თანამშრომელთა პირადი დანაზოგიდან.

● **საქართველოს ალპიური კლუბი — 389 მანეთი ნაღდი ფული, 8177 მანეთის ალპიური საჭურველი.**

## ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო

# მონაწილე ტურნირიდან გადის...

**ნინო გურიელმა** წარმოადგინა ცნობა, რომ იგი სერიოზულად არის ავად და ტურნირიდან გავიდა. ასეთი რამ შეჯიბრებების დროს უაღრესად იშვიათად ხდება, მაგრამ მკითხველს ეს უმნიშვნელო ამბად ნუ მოეჩვენება. მონაწილის ასპარეზობიდან გასვლა ტურნირის შემდგომ მსვლელობას ღრმა დაღს ასვამს. უპირველეს ყოვლისა, ნუ გაგიკვირდებათ, როცა ლიდერთა ჯგუფის გუშინდელ წარმომადგენლებს (ჯანჯღავას, ეფიმოვს, იოსელიანს) მოწინავეთა შორის ვეღარ იხილავთ. ყველაზე მეტად სწორედ ისინი დაისაჯნენ, გურიელთან მოპოვებული ქულები სატურნირო წესების მიხედვით, ჩამოეწერათ. მეორე მხრივ, ზოგმა მონაწილემ ორი ზედმეტი პარტია შავებით უნდა ითამაშოს, რაც, ცხადია, არანორმალური მოვლენაა, ზოგმა კი, პირიქით, ორი ზედმეტი პარტია — თეთრებით.

ერთი სიტყვით, ტურნირის ნორმალური მსვლელობა დაირღვა. რა თქმა უნდა, ავადმყოფი მოჭადრაკის შეჯიბრებაში შემდგომი მონაწილეობა სრულიად წარმოუდგენელია. აქ, ერთის მხრივ, საყვედურს იმსახურებენ ასპარეზობის ორგანიზატორები, რატომ მოიწვიეს გურიელი სათამაშოდ, თუკი იგი შეუძლოდ იყო? ისინი, თავის მხრივ, აცხადებენ, გურიელი ამას პირველად როდი აკეთებსო...

ახლა კი, რა გაეწყობა, შეჯიბრების მსვლელობას დავუბრუნდეთ.

**მეხუთე ტური. ჩიბურდანიძე — არახამია 1:0, გურგენიძე — ზაიჩიკი 1:0, კახიანი — ჯანჯღავა 0,5:0,5, იოსელიანი — ეფიმოვი 0,5:0,5. გიორგაძე — სტურუას შეხვედრა გადაიდო, გაფრინდაშვილი ამ ტურში თავისუფალი იყო.**

ტური დაიწყო იმით, რომ ქულის ჩამოწერის გამო ხასიათწამხდარმა იოსელიანმა და ეფიმოვმა პარტია სწრაფად ყაიმით დაასრულეს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილების პრეტენდენტების: გიორგაძისა და სტურუას შეხვედრას. საინტერესო შეხლა-შემოხლის შემდეგ გიორგაძეს ზედმეტი პაიკი დარჩა. გადადებულ პარტიაში დაფაზე ეტლთა და კუთა ენდშპილი წარმოიქმნა გიორგაძის მატერიალური უპირატესობით.

არახამიას, ფრიად ნიჭიერ და შემართულ მოჭადრაკეს, ერთი სერიოზული ნაკლი აქვს — მისი თეორიული მომზადება სათანადო დონეზე არა დგას. ეს განსაკუთრებით მაშინ იგრძნობა, როცა ახალგაზრდა დიდოსტატი შავებით თამაშობს. ახლაც სიცილიურ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონ ჩიბურდანიძესთან მან მძიმე მდგომარეობა მიიღო. ამჯერად ჩიბურდანიძე პირდაპირ საათის მექანიზმის სიზუსტით თამაშობდა. იგი მტკიცედ ფლობდა უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ უჯრას, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მართლაც რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ასეთ პოზიციებში შეტევა თითქოს თავისით ვითარდება. ჩიბურდანიძემ მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და ამ ტურნირში პირველ გამარჯვებას მიაღწია.

ასევე პირველი პარტია მოიგო გურგენიძემ, ამასთან, შესანიშნავი სტილით. მისმა მოწინააღმდეგემ ზაიჩიკმა შავებით ინდური დაცვის ერთ-ერთ განშტოებას მიმართა, ისეთს, რომლის მსგავსსაც თვით გურგენიძე ადრე ხშირად ირჩევდა ხოლმე. ამდენად, ასეთი პოზიციების ნიუანსებს გურგენიძე ძალიან კარგად იცნობს. ძირითადი ბრძოლა, როგორც საერთოდ ამ დასაწყისისათვის არის დამახასიათებელი, ლაზიერის ფრთაზე წარიმართა. აქ თეთრები ცდილობენ პოზიციურ მარწუხებში მოაქციონ მეტოქე. ამავე დროს შავებს ერთი ქრონიკული სისუსტეც აქვთ — ცენტრალური პაიკი, რომელიც მუდმივ მზრუნველობას მოითხოვს. ამიტომ სრულიად გასაგები იყო ზაიჩიკის გადაწყვეტილება, როგორმე ტაქტიკური ოპერაციით „აემღვრია წყალი". ამიტომ მან ლაზიერის ფრთაზე შესწირა პაიკი და მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა თავისი ფიგურები. მეტოქეებს ცაიტნოტი ემუქრებოდათ, მაგრამ გურგენიძემ მოფიქრებისათვის მაინც უფრო მეტი დრო შემოინახა, ვიდრე ზაიჩიკმა. თეთრებმა შესწირეს ხარისხი და ამის სანაცვლოდ ორი პაიკი მიიღეს. უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ გურგენიძის ლაზიერი მეტოქის განლაგებაში შეიჭრა და მხედრის მხარდაჭერით მუქარებს ქმნიდა. ზაიჩიკს დანებება მოუხდა. კახიან-ჯანჯღავას შეხვედრაში გრიუნფელდის დაცვის ერთ-ერთი ცნობილი ვარიანტი გათამაშდა. მეტოქეები პირდაპირ შესაშური შეუპოვრობით იბრძოდნენ, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას — ყაიმი.

**სატურნირო მდგომარეობა:** სტურუა — 3 ქულა (1 გად. პარტია), გურგენიძე, გიორგაძე — 2,5-2,5 (1-1), ეფიმოვი — 2,5 ქულა (4-დან), ჩიბურდანიძე — 2,5, ჯანჯღავა — 2 (1 გად. 4-დან), ზაიჩიკი — 2 (4-დან), გაფრინდაშვილი, იოსელიანი — 1,5 (4-დან), არახამია, კახიანი — 1,5-1,5.

**ბიჭი გამრეკელი**





# შეჩერდი, წამო!

— სხვისი არ ვიცი, მე კი ასე მგონია ნებისმიერი ფოტოჟურნალისტი ფოტოს გადაღებისას სწორედ ამ სიტყვებს მოაყოლებს, რათა „დაიჭიროს" და მარადჟამობას შემოუნახოს ცხოვრებისათვის იშვიათი ვაელვება. ამ წამის შექმნას ვირტუოზი სჭირდება, უფრო დიდი ოსტატობაა საჭირო ეს წამი შეაჩერო, „გაყინო" და თან ნატურას დინამიურობა, სიცოცხლისუნარიანობა შეუნარჩუნო. შემდეგ კი, წლების მერე, ფოტოჟურნალისტიკის თუ ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს მოყვარულებთან ერთად შენც ისიამოვნო შენი შემოქმედებით, შენს მიერ „შეჩერებული წამით".

ასეთი დიდებული „წამი" ქართულ ფეხბურთს 1981 წლის 13 მაისს ჰქონდა. სამწუხაროა, რომ ამ დღეს დიუსელდორფის „რეინშტადიონზე" არ აღმოჩნდა არც ერთი აკრედიტებული ადგილი პროფესიონალი ფოტოჟურნალისტისთვის.

საბედნიეროდ, დიუსელდორფში მყოფი დელეგაციიდან ერთადერთმა კაცმა, ქართული ფეხბურთის ფანატიკოსმა გულშემატკივარმა დემიკო ლოლაძემ შეძლო „ცოცხალი" კადრების გადაღება და ქართული სპორტის მატიანეს, მართლაც რომ საამაყო, არაერთი ეპიზოდი შემოუნახა. ამიტომ გადავწყვიტეთ დღევანდელ საიუბილეო ნომერში სწორედ მას შევხვედროდით.

● **მოდით, დასაწყისისთვის ათი წლის წინანდელი, დაუვიწყარი 13 მაისი გავიხსენოთ.**

— საგულშემატკივროდ ევროპის დიდ სტადიონებზე ფეხბურთის მოყვარულთა გამგზავრება მაშინ „ახალი ხილი" გახლდათ და, რა თქმა უნდა, მეც სიხარულით ცაში ვფრინავდი, ასეთი ბედნიერება რომ მხვდა წილად.

● **მაშინ თუ ფიქრობდით, რომ თქვენ ერთადერთი უნიკალური არქივის მეპატრონე გახდებოდით — დიუსელდორფის მატჩის „ცოცხალი" ფირებისა?**

პროფესიონალი რეპორტიორი არასდროს ვყოფილვარ. დამიჯერებთ? თამაშზე წასვლის წინ აპარატი სასტუმროში დავტოვე, გადასაღებად არენაზე არავინ შემიშვებს-მეთქი.

სტადიონზე ადრე მივედით. მალე ჩვენი ბიჭებიც გამოჩნდნენ. ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრის ტარიელ ვარდანაშვილის დახმარებით გასახდელში შევაღწიე, შემდეგ გავთამამდი, ჩვენი ჯგუფის წევ-

იხ. მე-4 გვ.

# ერთი გზა გვაქვს გასავლელი

**ქართველ** ფეხბურთელთა გამარჯვება ევროპის მეტად პრესტიჟულ ტურნირში ჩემთვის და მრავალი ლიტველისთვის, გვერწმუნეთ, მეტად სასიამოვნო სიურპრიზი იყო. თქვენი და ჩვენი ფეხბურთელები ხომ ჯერ კიდევ 1947 წელს შეხვდნენ პირველად ერთმანეთს. მართალია, დიდი ფეხბურთის დებიუტანტები მაშინ თბილისში დიდი ანგარიშით 1:4 დავმარცხდით, მაგრამ ოსტატობის მშვენიერი გაკვეთილი მივიღეთ — მაღალტექნიკური, გააზრებული, ტემპერამენტიანი, მე ვიტყოდი, ელეგანტური ფეხბურთის გაკვეთილი. თუმცა მას შემდეგ ჩვენმა საფეხბურთო სკოლებმა თავ-თავისი გზა გაიკვალეს, მაგრამ დღეს, შეიძლება, ითქვას, ჩვენი ქვეყნების და ჩვენი ფეხბურთის გზებიც ისევ დაახლოვდა — საბჭოთა ჩემპიონატი ორივე რესპუბლიკამ დატოვა, ორივემ ერთდროულად დავგმეთ მტაცებლური იმპერია, უარი ვთქვით „ცივილიზებულ" მონობაზე.

**ვირბილიუს მუნდრისი,**
**ლიტვის გაზეთ „რესპუბლიკის" სპორტის განყოფილების რედაქტორი.**

# 1981 ნატვრა აუხდა იმ დღეს საქართველოს 1991

### 13. 5. 81. დიუსელდორფი. „რაინშტადიონი". „თასთა თასის" ფინალი.
### „დინამო" (თბილისი)—„კარლ ცეისი" (იენა) 2:1.






























1961 — „ფიორენტინა" (ფლორენცია); 1962 — „ატლეტიკო" (მადრიდი); 1963 — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი); 1964 — „სპორტინგი" (ლისაბონი); 1965 — „ვესტ ჰემ იუნაიტედი" (ლონდონი); 1966 — „ბორუსია" (დორტმუნდი); 1967 — „ბავარია" (მიუნხენი); 1968 — „მილანი" (მილანი); 1969 — „სლოვანი" (ბრატისლავა); 1970 — „მანჩესტერ სიტი" (მანჩესტერი); 1971 — „ჩელსი" (ლონდონი); 1972 — „გლაზგო რეინჯერსი" (გლაზგო); 1973 — „მილანი" (მილანი); 1974 „მაგდებურგი" (მაგდებურგი); 1975 — „დინამო" (კიევი); 1976 — „ანდერლეხტი" (ბრიუსელი ); 1977 — „ჰამბურგი" (ჰამბურგი); 1978 — „ანდერლეხტი" (ბრიუსელი); 1979 — „ბარსელონა" (ბარსელონა); 1980 — „ვალენსია" (ვალენსია); 1981 — „დინამო" (თბილისი); 1982 — „ბარსელონა" (ბარსელონა); 1983 — „აბერდინი" (აბერდინი); 1984 — „იუვენტუსი" (ტურინი); 1985 — „ევერტონი" (ლივერპული); 1986 — „დინამო" (კიევი); 1987 — „აიაქსი" (ამსტერდამი); 1988 — „მეხელენი" (მეხელენი); 1989 — „ბარსელონა" (ბარსელონა); 1990 — „სამპდორია" (გენუა).

## ეშმას დავეხსენით, ხსნის გზაზე ვდგავართ. თუ არ შევმატებთ, რას მოვაკლებთ ევროპის ფეხბურთს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეჩერდი, წამო!

(დასასრული)

რების ფოტოაპარატი ვთხოვე და მინდორზეც გადავედი. კონტროლი ისეთი არ იყო და თავიდან ვერც შემამჩნიეს. საბუთი, როცა მომთხოვეს, მოცემული საშვი ვაჩვენე, მაგრამ ის სხვა ფერის აღმოჩნდა. საბოლოოდ, ერთი პოლონელი ჟურნალისტის დახმარებით შევაღწიე არენაზე.

**● ფოტოაპარატიდან, ალბათ, სხვაგვარად ჩანდა მოედანზე მიმდინარე მოვლენები?**

— უკვე გითხარით, მე პროფესიონალი არ ვარ. ჩემი ფოტოები გულშემატკივრის გადაღებული უფროა. ვერც ერთი გოლი ვერ აღვბეჭდე. აი, შენგელიამ გუცაევს პასი რომ მიაწოდა, გადავიღე, შემდეგ კი აპარატი მოვიცილე და „ღია“ თვალებით ვუყურებდი მოვლენებს. ვგრძნობდი, გოლი გავიდოდა და მინდოდა მენახა. როცა პირველი ბურთი გაბელიას კარში გაიტანეს, კინაღამ ფოტოაპარატი საერთოდ გადავაგდე... იმსიშორეზე წასულები სახლში ხელცარიელები რომ დავბრუნებულიყავით, გავგიჟდებოდი. მაგრამ ვიტალის ვირტუოზულმა გოლმა გვიხსნა.

**● მატჩის შემდეგ?**

— შეუძლებელია იმ სიხარულის გადმოცემა. პირველი შევვარდი გასახდელში. გადავიღე ბიჭები თასით ხელში. სხვათა შორის, იმ ნანატრ თასს პირველი მე შევეხე ჩვენგან. საპატიო ადგილზე რომ დადგეს, მივედი, ვეამბორე და ვინატრე — მიმიხვდებით, რაც ვინატრე. შემდეგ კი გახარებულები, რას ვაკეთებდით, აღარც კი გვახსოვს. ვნებები რომ დაცხრა, მაშინღა ვიფიქრე, ერთი თბილისში მამყოფა-მეთქი. ახლა მინდოდა, საკუთარი თვალით მენახა, როგორ იზეიმა ჩემმა ქალაქმა ეს უდიდესი გამარჯვება.

**● როგორ გგონიათ, წლებმა ხომ არ გაახუნა ეს წარმატება?**

— ამ თასს ფასი არ აქვს. მსგავსი გამარჯვებები ქართულ ფეხბურთს მრავლად უნდა ჰქონოდა, მაგრამ... თუმცა ევროპული თასის მოპოვება ამ თაობის მიერ, ლოგიკური იყო, რაც ვერ შეძლო პაიჭაძის, შავგულიძის, იამანიძის გუნდებმა, იმას მიაღწია ოთხმოცდაერთის „დინამომ“.

**● რამდენჯერმე აღნიშნეთ, პროფესიონალი ჟურნალისტი არ ვარო. არადა, ვიცით, რამდენიმე წიგნის ავტორი რომ ბრძანდებით. ხომ არ აპირებთ კიდევ რაიმეს გამოცემას?**



დ. ლოლაძე

— მთელი საქართველო შეძრა მიხეილ მესხის მოულოდნელმა გარდაცვალებამ. იმ დღეებში პრესაში არაერთი წერილი დაიბეჭდა, მის უბადლო ნიჭს რომ ეძღვნებოდა. სწორედ ამ წერილებით გავამდიდრებ მესხზე გამოცემულ ადრინდელ წიგნს, რათა მომავალ თაობებს ლეგენდად მაინც შემორჩეს მიშა მესხის სახელი. და კიდევ, „დიუსელდორფის“ მატჩის იუბილესთან დაკავშირებით დაიბეჭდება შევსებული გამოცემა, რომელიც ამ დაუვიწყარ მატჩს მიეძღვნება. წიგნების გამოცემაში დახმარება აღმითქვა სპორტის დიდმა ქომაგმა ბატონმა მელორ ტყეშელაშვილმა, რომელმაც სპონსორობა იკისრა.

ვსარგებლობ შემთხვევით და ქართული ფეხბურთის ყველა მოყვარულს ვულოცავ დიუსელდორფის მატჩის ათწლიან იუბილეს. დაე, ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი გამარჯვებები. ქართულ ფეხბურთს შესწევს ამისი ძალა და უნარი.

ესაუბრა
**ინგა ჩახვაშვილი.**

# მჯერა, დიუსელდორფი გამეორდება!

არაერთხელ მითქვამს — საქართველო ჩემთვის მეორე სამშობლოა. ომის წლებში ჩვენი ოჯახი თბილისმა შეიფარა და უპატრონა. სწორედ აქ ვეზიარე ფეხბურთს ჩემს თბილისელ თანატოლებთან ერთად, დღესაც ძველებურად მიყვარს საქართველო და ფეხბურთი. გამოხდა ხანი და ნაკრებში დავუმეგობრდი დიდ ქართველ ფეხბურთელებს, რომლებთან ურთიერთობას დღესაც ვაგრძელებ და რომლებსაც, სამწუხაროდ, სულ ახლახან ჩვენი საყვარელი მიშა მესხის დასაფლავების დღეს შევხვდი. გლოვის იმ დღეებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რას ნიშნავს საქართველოსთვის ფეხბურთი და მისი კორიფეები.

ასაკის გამო საშუალება არ მომეცა მოედანზე შევხვედროდი 1981 წლის საფეხბურთო სეზონის თბილისელ ტრიუმფატორებს, მაგრამ, როგორც ჟურნალისტი და „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორი, საკმაოდ კარგად ვიცნობდი ყველას. არასოდეს დამავიწყდება 13 მაისის დიუსელდორფის საღამო, როცა თბილისის „დინამოს“ კაპიტანს საშა ჩივაძეს უეფა-ს მაშინდელმა პრეზიდენტმა არტემიო ფრანკიმ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი გადასცა. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. განსაკუთრებით ის მახარებდა, რომ თბილისელებმა ძნელ და ლამაზ ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს. წლების მანძილზე მინახავს სხვადასხვა თაობის შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელთა საუცხოო თამაში, მაგრამ, ჩემი აზრით, 1981 წლის თბილისის „დინამო“ უძლიერესია ქართული ფეხბურთის ისტორიაში. არც კი მჯერა, რომ დიუსელდორფის ფინალის შემდეგ ათი წელი გავიდა. ახლაც სიამოვნებით ვიხსენებ მატჩებს „ფეიენოორდთან“, „ვესტ ჰემთან“, „კარლ ცეისთან“. კარს უშიშარი ოთარ გაბელია იცავდა. შესანიშნავი დაცვის ხაზი — ელეგანტური და გაბედული ალექსანდრე ჩივაძის მეთაურობით. გუნდის ხერხემალი — შუა ხაზი: ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე და უჰკვიანესი დავით ყიფიანი. თავდასხმა — დახელოვნებული დრიბლიორი ვლადიმერ გუცაევი, კლუბის აღიარებული სნაიპერი რამაზ შენგელია. აბა, ეს იყო გუნდი! დამრიგებელს აღარ იკითხავთ? მართლაც შესანიშნავი მწვრთნელი იყო ნოდარ ახალკაცი.

ამჟამად ქართულ ფეხბურთს არ ულხინს, ისევე, როგორც მთელ საქართველოს. მაგრამ მე მჯერა თქვენი ხალხის ნიჭისა და შრომისმოყვარეობისა. ეჭვი არ მეპარება, მალე საქართველოში ყველაფერი კალაპოტში ჩადგება და, ვიმედოვნებ, ფეხბურთში კვლავაც მიაღწევთ დიდ წარმატებას.

...ახლაც თვალწინ მიდგას ვიტალი დარასელიას უბადლო გარღვევა, რომელიც გამარჯვების გოლით დასრულდა. თითქოს გრძნობდა, რომ ნაადრევად გამოეთხოვებოდა სიცოცხლეს და ჩქარობდა თავისი ნათელი კვალი დაეტოვებინა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ეჭვიც არ მეპარება, მოვა დრო და გამეორდება 13 მაისის დარი სიხარული. დიდი გამარჯვების იუბილეს გილოცავთ, ჩემო მეგობრებო, დაე, კვლავაც წარმატებით გევლოთ!

**თქვენი ერთგული მეგობარი და გულშემატკივარი**
**ვიქტორ პონედელნიკი.**

# თანამედროვე ოლიმპიადები — პირველიდან ოცდამეხუთემდე

## ომი და... მშვიდობა

**ოლიმპიური** ალამი ხუთი სხვადასხვა ფერის ერთმანეთზე გადაჭდობილი რგოლით პირველად აფრიალდა პარიზში 1917 წელს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. ამ სიმბოლიკას მაშინ იმ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, რასაც ახლა. უბრალოდ, ხუთი ფერი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნების ეროვნული ალმების ფერების გამოსახატავად. ყოველმა რგოლმა თავისი მნიშვნელობა უფრო მოგვიანებით, 1920 წელს ანტვერპენის VII თამაშებზე მიიღო. ლურჯი ფერი ევროპის კონტინენტის სიმბოლო გახდა, ყვითელი — აზიისა, მწვანე — ავსტრალიის, წითელი — ამერიკის და შავი — აფრიკისა. ასე მოიყარა თავი თეთრ ოლიმპიურ ალამზე მთელმა სამყარომ.

ანტვერპენის ოლიმპიადაზე ჩაეყარა საფუძველი კიდევ ერთ ლამაზ ტრადიციას — სპორტსმენთა ოლიმპიურ ფიცს, რომლის სიტყვებიც პირველად სწორედ „ბერშოოც იპოდრომის“ სტადიონზე გაისმა. სხვათა შორის, ამ თამაშების შემდეგ მთელ მსოფლიოში გახდა პოპულარული ოლიმპიური დევიზის სიტყვები — „სწრაფად, მაღლა, ძლიერ!“



VII ოლიმპიადის გმირი, ფინელი სტაიერი პაავო ნურმი დისტანციაზე.

1920 წლამდე ოლიმპიურ ჩემპიონებს სპეციალური გარდამავალი პრიზებით აჯილდოებდნენ, მაგრამ ვინაიდან მათი მუდმივი ტრანსპორტირება არც ისე იოლი იყო, სოკ-მა გააუქმა ეს ტრადიცია. გარდამავალი ოლიმპიური პრიზების დიდი ნაწილი ამჟამად ლოზანის ოლიმპიურ მუზეუმში ინახება.

მაშ ასე, VII ოლიმპიური თამაშები გაიმართა 1920 წლის 20 აპრილს — 12 სექტემბერს ანტვერპენში (ბელგია). კი მაგრამ, იკითხავს ალბათ გაკვირვებული მკითხველი, სად დაიკარგა VI ოლიმპიადა და რატომ მაინცდამაინც ანტვერპენი აირჩიეს VII ოლიმპიადის მასპინძლად, ქალაქი, რომელსაც ერთი კეთილმოწყობილი სტადიონიც კი არ გააჩნდა, არაფერი რომ ვთქვათ სპორტულ ტრადიციებზე?

საქმე ის იყო, რომ სოკ-ის 1909 წლის გადაწყვეტილებით სტოკჰოლმს (მეხუთე ოლიმპიადის ქალაქს) ესტაფეტა ბერლინისთვის უნდა გადაეცა, მაგრამ... ამაოდ ელოდა გრიუნვალდის ახალი სტადიონი VI ოლიმპიადის მონაწილეებს 1916 წელს. ევროპა პირველი მსოფლიო ომის ჰაობში იყო ჩაფლული და სპორტისთვის, ცხადია, არავის ეცალა.

ოლიმპიადა ადამიანებს მაშინ გაახსენდათ, როცა მიწყნარდა ომის ხანძარი. მაგრამ ჭრილობების მოშუშებასა და გონს მოსვლას დრო სჭირდებოდა. ევროპის დიდი ქალაქები, ფაქტობრივად, ნანგრევებიდან დგებოდნენ და ოლიმპიადის ჩატარება სწორედ იმ ქალაქმა იკისრა, რომელიც მთავარ მოვლენებს, ასე ვთქვათ, გვერდიდან უყურებდა. ამიტომ გახდა ანტვერპენი VII თამაშების მასპინძელი.

თამაშებში მონაწილეობა მიიღო 29 ქვეყნის 2606-მა სპორტსმენმა, მათ შორის 63-მა ქალმა. გაუმჯობესდა 16 ოლიმპიური რეკორდი, უფრო ცოტა, ვიდრე რვა წლის წინ სტოკჰოლმში, უმაღლეს მიღწევათა ცხრილებში ყველაზე მეტი შესწორება, ტრადიციულად, მძლეოსნებმა შეიტანეს (9 ოლიმპიური და 5 მსოფლიო რეკორდი). ხუთი რეკორდი დაემხო ცურვაში, ორი — სროლაში.



ოლიმპიური ფიცის ცერემონიალი ანტვერპენის სტადიონზე. 1920 წელი, VII ოლიმპიადა.

და მაინც, ანტვერპენის ოლიმპიადამ თავისი ისტორიული როლი შეასრულა სპორტში თუნდაც იმიტომ, რომ საფუძველი ჩაუყარა ლეგენდას „დიდ ფინელზე“, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო სტაიერზე პაავო ნურმიზე, რომელსაც სამი ოქროს (რბენა 10000 მეტრზე, კროსი 8000 მეტრზე პირადი და გუნდური) და ერთი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

ანტვერპენში თავი გამოიჩინა ნორვეგიელმა მსროლელმა ო. ოლსენმაც. სხვათა შორის, ჯილდოების აბსოლუტური რეკორდი სწორედ მას ეკუთვნის და არა ნურმის. ოლსენმა სამშობლოში წაიღო 4 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები და მედლები ასე განაწილდა (ტრადიციულად ვაქვეყნებთ ექვს საუკეთესო შედეგს):

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 41 | 27 | 27 |
| შვეცია | 19 | 20 | 25 |
| ინგლისი | 15 | 15 | 13 |
| საფრანგეთი | 9 | 19 | 13 |
| ფინეთი | 15 | 10 | 9 |
| ბელგია | 18 | 11 | 11 |



ბაგირის გადაჭიმვაში გამარჯვებული დიდი ბრიტანეთის (მარჯვნივ) გუნდი.

# ქუჩის კლუბიდან — ნამდვილ კლუბამდე

**ფიშერის** წარმატებების შემდეგ პირველად, ნიუიორკელები კასპაროვ-კარპოვის მატჩით, ესე იგი, ჭადრაკით ისე დაინტერესდნენ, რომ „ქუჩის კლუბებიც“ კი შექმნეს: საათობით ისხდნენ პარკებში, არჩევდნენ პარტიებს, ეთამაშებოდნენ ერთმანეთს.

ამასობაში ერთი საქმოსანიც გამოჩნდა, რომელიც ქუჩაში შეკრებილ გულშემატკივრებს მცირე გასამრჯელოს ფასად ჭადრაკის კომპლექტებსა და საათებს ათხოვებდა ხოლმე. რამდენიმე ასეთი „ქუჩის კლუბის“ გახსნის შემდეგ მან სათანადო თანხაც მოაგროვა და ერთ მშვენიერ დღეს კასპაროვ-კარპოვის მატჩის წყალობით შეძენილი ფულით ნიუ-იორკის ცენტრში ნამდვილი საჭადრაკო კლუბი დააარსა.

რედაქტორი
[illegible]

## თქვენთვის, კარატეს მოყვარულებო!

**თავისი** წევრებისათვის და მათთვის, ვისაც სურს გაეცნოს ფუდოკან კარატე-დოს, რესპუბლიკური ფედერაცია აწყობს მესამე სემინარ-ტურნირს, რომელიც ჩატარდება ქ. ზუგდიდში 17, 18, 19 მაისს. სემინარს გაუძღვება საქართველოს ფუდოკან კარატე-დოს ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ზ. მერაბიშვილი (2 დანი). სემინარის ბოლოს ჩატარდება გამოცდები კიუ-ზე და ტურნირი აბსოლუტურ კატეგორიაში. კარატისტები უზრუნველყოფილი იქნებიან სასტუმროთი, კვებით, ტრანსპორტით, საცურაო აუზით. ვინაიდან, მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრულია, სემინარი ფასიანია. გთხოვთ, დროულად მიმართოთ ორგანიზატორებს: ზუგდიდი, ტელ 2-62-59, თბილისი: 98-41-73.

**საქართველოს ფუდოკანის პრესცენტრი.**

თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი თავისუფალ ჭიდაობაში

**იოსებ აკაკის ძე ფილოსანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია, კორექტორები: ც. ჩიტიშვილი და მ. ძიძაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
ხაზდივენი — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხიშარაულის, 20.
რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20